სამდღიანი ეროვნული სამუშაო შეხვედრა მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

- მწვანე ეკონომიკის პრინციპები და კავშირი ტყის მდგრად მართვასთან;
- სატყეო პოლიტიკის პროცესებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის უნარები და მეთოდები;
- სატყეო მონაცემების შეგროვება და მართვა;
- ტყისგან ბიოენერგიის გენერირება;

პროექტი დაიწყო 2013 წლის ივლისში და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რეგიონში ქვეყნების ეროვნულ შესაძლებლობებს, რათა გაძლიერდეს ამ ქვეყნების სატყეო სექტორის მიერ შეტანილი წვლილი მწვანე ეკონომიკის განვითარებაში, ტყის მდგრადი მართვის გზით.

პროექტის კონსორციუმი,რომლის ხანგრძლივობაა 24 თვე, შედგება შვიდი ქვეყნისაგან: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. პროექტი ხორციელდება რეგიონული პარტნიორობით, UNECE და FAO არსებული რეგიონული ქსელის მეშვეობით. საქართველოში პროექტს კოორდინირებას უწევს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC).

პროექტი დაეხმარება ქვეყნებს აღმოფხვრან მთავარი ხარვეზები შესაძლებლობებში ცოდნის მიწოდების, შესაძლებლობების გაძლიერების, ტრენინგის მასალებისა და საკონსულტაციო სერვისების გზით:

- ტყის სექტორის პოლიტიკისა და ინსტიტუტების გაძლიერება, მწვანე ეკონომიკაში ტყის მდგრადი მართვის კონტრიბუციის შეტანის წახალისება და კლიმატის ცვლილების შერბილება;
- სამოქმედო გეგმების შემუშავება და ტყის მდგრადი მართვის განხორციელება სამ პილოტურ ქვეყანაში;
- ტყის მდგრადი პროდუქტების, მათ შორის ბიოენერგიის წარმოების ხელშეწყობა;

ეროვნული სამუშაო შეხვედრის დროს, სხვადასხვა მონაწილეობითმა ანალიტიკურმა სავარჯიშოებმა გამოავლინა საქართველოს სატყეო სექტორის მდგომარეობა და ასევე, სხვადასხვა ბარიერი და შესაძლებლობა სატყეო სექტორის მწვანე ეკონომიკის პრინციპებთან დასაკავშირებლად. საბოლოო ჯამში, ბოლო დროს შემუშავებული ტყის კონცეფცია-სტრატეგია, მონაწილეების მიერ დადებითად შეფასდა მწვანე ეკონომიკის პრიციპების გათვალისწინებით. სტრატეგიის ყველაზე სუსტი ასპექტებია ტყის ენერგიის ხელშეწყობა და სამუშაო ადგილების შექმნა,კერძო სექტორის ჩართულობა. სტრატეგიის ძლიერი მხარეა ეკოლოგიური ჯანმრთელობა, ინკლუზიური პოლიტიკის პროცესებითა და ტყის მდგრადი მართვით.

საკონტაქტო ინფორმაცია
დ.აღმაშენებლის გამ.N 150
თბილისი,0112,საქართველო
ტელ:+995 32 2253649/2253638
www.rec-caucasus.org

დეკემბერი | 2014

2

ტყის მდგრადი მართვა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში

სარჩევი

- საქართველოს სატყეო სექტორი,მასში არსებული პრობლემები და ცვლილებები
- ტყის რესურსის ეფექტიანი გამოყენების ევროპული ხედვა
- UNECE/FAO პროექტის „ტყის მდგრადი მართვა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“ სამუშაო შეხვედრა

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION OF GEORGIA

REC CAUCASUS

საქართველოს სატყეო სექტორი,მასში არსებული პრობლემები და ცვლილებები

სატყეო სექტორში დღეს არსებული სიტუაციის შესახებ, ვესაუბრეთ სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსს – კარლო ამირგულაშვილს.

1.დავიწყოთ იქედან რომ ქვეყანამ მიიღო სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი. რა საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობს სამინისტრო ამჟამად, რა ეტაპზეა სატყეო კოდექსის შემუშავება და ვინ ეხმარება სამინისტროს ამ მიმართულებით?

- წელს, მთავრობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს ტყეების მართვის ევროპულ მოდელზე გადასვლის შესახებ. გაიმიჯნა სატყეო კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების, ტყის მართვის განხორციელებისა და ზედამხედველობის ფუნქციები სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის.

პროფესორი ანდრეას შულტე, პროექტის კოორდინატორი, ხაზს უსვამს რესურსების ეფექტიანობის ხელსაყრელობას ყველა საწარმოსთვის: «ნაკლები რესურსების გამოყენებით უფრო მაღალი შედეგის მიღება ყოველთვის აისახება წარმოების ნაკლებ ხარჯში და კლიმატის უკეთ დანახვაში. RERAM-თან ერთად, ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ შესაძლებლობები და ევროკავშირიდან მოვახდინოთ მოწინავე გამოცდილების გადმოტანა (დანერგვა) ჩვენს მეზობელ აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში. რესურსების ეფექტიანობა ყოველთვის მომგებიანი სიტუაციაა, როგორც კომპანიებისათვის, ასევე გარემოს, კლიმატისა და ზოგადად ჩვენი საზოგადოებისათვის».



2013 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია, რომელიც ქმნის ჩარჩოს ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის სისტემის განვითარებისთვის. ეროვნული სატყეო კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ტყეების მიმართ - მათი ძირითადი ფუნქციონალური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით. კონცეფცია ერთია საქართველოს ყველა ტყისთვის, მიუხედავად მათი საკუთრებისა და მართვის ფორმისა. იგი საფუძვლად დაედება სატყეო სექტორის კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებას და არსებულის დახვეწას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და დონორთა კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, სატყეო პოლიტიკის სამსახური, 2013 წლის სექტემბრიდან მუშაობს სამინისტროს მიერ ინიცირებულ ეროვნულ სატყეო პროგრამაზე (NFP), როგორც სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ინსტრუმენტზე. დაიწყო

ტყის ახალი კოდექსის შემუშავების პროცესი; მოხდება შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა. ტყის ახალი კოდექსი გააუმჯობესებს ტყის მდგრადი მართვის სამართლებრივ ბაზას, რაც ხელს უწყობს, ტყესთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას, რაც თავის მხრივ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასაც უზრუნველყოფს (DCFTA-ის 233-ე მუხლი). პროექტს ახორციელებს მსოფლიო ბანკი ENPI-FLEG-II (EU)-ის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით. ჩარჩო კანონის მომზადებაში მონაწილეობს საერთაშორისო ექსპერტი ქალბატონი მარია ტერეზა ჩირელი, რომელიც 2015 წლის იანვარში წარმოადგენს პირველ სამუშაო ვერსიას შემდგომი განხილვისათვის.
GIZ-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, მიმდინარეობს ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავების პროცესი, ეკო კომპენსაციების სახელმძღვანელო პრინციპების, საქართველოს ტყით დაფარული ფართობის დარუქებისა და სამომავლო ინვენტარიზაციის საკითხების განხილვა და განხორციელება. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან ერთად დაიწყო კანონპროექტზე მუშაობა, ქარსაფარი ზოლების კუთვნილების განსაზღვრისთვის სამართლებრივი ნორმების შესამუშავებლად. დონორთა დახმარებით, მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ სატყეო განათლების კონცეფციაზე. მიმდინარეობს ბორჯომ - ბაკურიანის სატყეო უბანში 2008 წელს გადამწვარი ფართობის აღდგენის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები.ასევე, ამერიკის სატყეო სამსახურის დახმარებით, ტყის ხანძრების მართვის გეგმის შემუშავება. დაიწყო, კოლხური ბზის დაავადებაზე რეაგირების ეროვნული გეგმის აღსრულების პროცესი. ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში, ტყის არამერქნული რესურსების სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის თაობაზე, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.
სატყეო სექტორის რეფორმის პროცესში, პოლიტიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე კოორდინაციისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე წლის 26 სექტემბერს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა „საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის სამეთვალყურეო საბჭო“, რომლის შექმნის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2014 წლის 5-6 ივლისს, სატყეო სექტორის ინსტიტუციური რეფორმის საერთაშორისო კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად. საბჭოს შექმნის ვალდებულება, ასევე, გათვალისწინებულია ურთიერთგაგების მემორანდუმში „სატყეო სექტორის რეფორმის პროგრამის თაობაზე“, აგრეთვე, ურთიერთგაგების მემორანდუმში „სატყეო სექტორის მხარდაჭერის თაობაზე“, რომელიც გაფორმდა მიმდინარე წლის 21 თებერვალს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და შპს „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას“ შორის. აღნიშნული საბჭოს ფარგლებში განიხილება სატყეო სექტორის რეფორმის სამოქმედო გეგმა.ასევე, მდგრადი სატყეო მეურნეობის შექმნის, სატყეო პოლიტიკისა და ტყის მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურათა შორის, უკეთესი კოორდინაციის მნიშვნელოვანი საკითხები.

იმისათვის,რომ: 1) დაცული იქნას - ბუნებრივი პროცესები და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დინამიკური თვითრეგულირებადი მდგომარეობა 2) უზრუნველყოფილი იყოს - გარემოს გლობალური მონიტორინგი,მეცნიერული კვლევა,რეკრეაციული და საგანმანათლებლო საქმიანობა 3) ხელშეწყობილ იქნას - დინამიკური სოფლის მეურნეობისა და მდგრადი ტყის მართვა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობით განიხილება ბიოსფერული რეზერვანტის შექმნის საკითხი.

2. თქვენი აზრით,რა არის ამ ეტაპისთვის სატყეო დარგის განვითარების მოკლევადიანი პრიორიტეტი, ხანგრძლივვადიანი პრიორიტეტი?

მოკლევადიან პრიორიტეტად შეიძლება მივიჩნიოთ სექტორული გაძლიერების, პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციების უკეთ გამიჯვნის საკითხი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაჭის ტყის მდგრადი მართვის საპილოტე პროექტის მონიტორინგი და მისი წარმატებულად გაძღოლის უზრუნველყოფა, რაც სააგენტოს საშუალებას მისცემს ხე-ტყის მდგრადად მოხმარებისა და რეალიზაციიდან შემოსული წყაროებით, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტყის მოვლა-აღდგენის სამუშაოები, ტყის დაავადებათა კვლევა და მონიტორინგი,ასევე, სხვა საჭირო სატყეო სამეურნეო ღონისძიებები. რეფორმის პროცესში, როგორც ახლო, ისე გრძელვადიან გამოწვევად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი სატყეო კანონმდებლობის მიღების, დამტკიცებისა და აღსრულების საკითხი, ასევე, ქვეყნის მასშტაბით ჩასატარებელი ტყეთმოწყობა და აქამდე გაცემული გრძელვადიანი ლიცენზიების კონტროლი და არსებული მანკიერი პრაქტიკის დასრულების საკითხი.

3.რა საერთაშორისო სატყეო მოლაპარაკებებში და კონვენციებში მონაწილეობს ამჟამად სამინისტრო?

საქართველო აქტიურად არის ჩართული „ევროპის ტყეების“ (Forest Europe) პროცესში და მონაწილეობს ევროპის ტყეების დაცვის მინისტერიალურ კონფერენციაში. ჩვენი ქვეყანა ხელმომწერია მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რომლებიც დაიდო აღნიშნული მინისტერიალის ფარგლებში (ვენის დეკლარაცია, ვენის N 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 რეზოლუციები, ასევე ოსლოს მინისტერიალის გადაწყვეტილება და ოსლოს მინისტერიალის მანდატი). საქართველოს მონაწილეობა „ევროპის ტყეების“ პროცესში, მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობას საერთაშორისო საზოგადოებასთან სატყეო სექტორში. ამასთანავე, ეროვნული სატყეო პროგრამა სწორედ „ევროპის ტყეების“ ინიციატივით შეიქმნა, რაც საკმაოდ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთთანამშრომლობისათვის, ინფორმაციის მიმოცვლის გაღრმავების გზით, სატყეო სექტორის რეფორმის გაძღოლისათვის.
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამნისტრომ უმასპინძლა UNECE EPR - ის წარმომადგენლობას. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „საქართველოში გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტიანობის მესამე მიმოხილვის“ მომზადება. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში მომზადდა და განახლდა ინფორმაცია ტყეების მდგომარეობასა და სატყეო პოლიტიკური პროცესების შესახებ.
2014 წლის 29-31 ოქტომბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა “საერთაშორისო შეთანხმება ტყეების თაობაზე 2015 წლის შემდეგ” (International Arrangement of Forests beyond 2015). აღნიშნულ შეხვედრაზე ჩართული იყო ქართული მხარეც. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა გაეროს ტყეების ფორუმის მხარდაჭერა და ექსპერტთა ჯგუფის 2015 წლის შეხვედრისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ის რეკომენდაციები, რაც ჩინეთში გამართული შეხვედრის დროს მხარეებმა წარმოადგინეს.
სამინისტრო,სატყეო საკითხებზე სისტემატიურად თანამშრომლობს ამერიკის,ევროპისა და აზიის ქვეყნების შესაბამის დონორ და ეროვნულ სახელმწიფო სტრუქტურებთან.
ამა წლის 05-08 ნოემბერს, სამინისტრო, სატყეო საკითხებზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის თემებთან დაკავშირებით დაგეგმილ რეგიონულ შეხვედრაში მონაწილეობდა,რომელიც გაიმართა სომხეთის რესპუბლიკაში, მიმდინარე პროექტის - FLEG II-ის ფარგლებში. სატყეო სფეროში სომხეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის საფუძველზე,აქტიურად განიხილება საკითხები,როგორიცაა: დროული რეაგირება და მონიტორინგი მავნებელ დაავადებებზე, ტყისა და ველის ხანძრების პრევენცია. ასევე,კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების შერბილება და ადაპტაციის ერთობლივი ღონისძიებები REDD+ -ს ფარგლებში,რაც ასახული იქნება 2015 წლის ორმხრივ დოკუმენტში.
2014 წლის 9-11 ივნისს ჩატარდა **UNECE/FAO** სამდღიანი ტრენინგი თემაზე „**ტყის მდგრადი მართვა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის**“, რომელიც ორგანიზებული იყო კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ **„ტყის მდგრადი მართვა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“** პროექტის ფარგლებში.

ტყის რესურსის ეფექტიანი გამოყენების ევროპული ხედვა

RERAM პროექტი: რესურსების ეფექტიანობა ყოველთვის მომგებიანი სიტუაციაა

მერქანზე მზარდი მოთხოვნა დღეს უკვე ძლიერ გავლენას ახდენს აღმოსავლეთ ევროპის მეზობელი ქვეყნების, მაგალითად საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ნაწილობრივ შესწავლილ ტყეებზე.

საპასუხოდ, ევროკავშირმა დაიწყო ახალი პროექტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადაპტირებული გადაწყვეტილებების მიღებას «აღმოსავლეთ ევროპის ხე-ტყის გადამამუშავებელ საწარმოებში რესურსებისა და ნედლეულის ეფექტურად გამოყენებასთან» დაკავშირებით. პროექტი, რომელიც დაფინანსდა FP7-ფარგლებში, ორწლიანია და მისი ბიუჯეტი თითქმის 1 მილიონ ევროს შეადგენს, რომელსაც კოორდინაციას უწევს Wald Zentrum (მიუნსტერი, გერმანია).
მთელ მსოფლიოში, მერქნის წარმოების წლიური მოცულობა აჭარბებს ლითონის, ალუმინისა და ბეტონის წარმოებას. ტყე საოცრად უნივერსალურია, იგი არის განახლებადი, რეციკლირებადი, ხელახლა გამოყენებადი და გაწმენდადი რესურსი და ამათან საზოგადოებას სთავაზობს მრავალრიცხოვან ეკოლოგიურ პროდუქტს. მეტიც, მერქნის თვითაღდგენის უნარის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა ხე-ტყის ნედლეულზე.
ტყის ბუნებრივი რესურსების დაცვა და ხის ნედლეულის მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა დღეს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. RERAM ძირითადი მიზანია ტყეზე დამოკიდებული სექტორის რესურსების ეფექტიანობის გაუმჯობესება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში. პროექტი აერთიანებს 11 პარტნიორ ორგანიზაციას გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიასა და პოლონეთში (ევროკავშირის წევრი ქვეყნები) და უკრაინაში, მოლდოვაში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში (ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრი ქვეყნები).
RERAM მიმართულია ხე-ტყის გადამამუშავებელ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, რომლებიც, როგორც ზოგადად, ასევე თითოეული თანამშრომლის დონეზე, არაეფექტიანად მოიხმარენ ნედლეულს. კომპანიები სარგებელს ნახავენ ეფექტიანობის სასწავლო შემოწმებით, სასწავლო და საწვრთნელი ღონისძიებების ჩატარებით, რის შედეგადაც გაიზრდება ცნობიერება მერქნული რესურსების ეფექტიანობის შესახებ.

UNECE/FAO პროექტის „ტყის მდგრადი მართვა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“ სამუშაო შეხვედრა

ღონისძიებას, რომელიც ჩატარდა **UNDA** ფინანსური დახმარებით, ესწრებოდნენ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს სატყეო სააგენტოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
ეროვნული სამუშაო შეხვედრა ფოკუსირებული იყო რაციონალურ პრინციპებსა და ძირითად სტრატეგიებზე, სატყეო სექტორისა და მწვანე ეკონომიკის დასაკავშირებლად და ასევე, პრაქტიკულ დემონსტრირებაზე მონაწილეობითი ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ინკლუზიურ პროცესში სატყეო სამოქმედო გეგმის განვითარებისათვის - მწვანე ეკონომიკისთვის. საწვრთნელი სემინარი, რომელიც მოყვა ამ სამუშაო შეხვედრას, ფოკუსირებული იყო მიმდინარე პროცესის გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე, ასევე სამუშაო ჯგუფის შერჩევაზე, სამუშაოს გასაგრძელებლად.